დანართი

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა
სოციალური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. **პროგრამის სახელწოდება:** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამა.
2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 1 იანვარი 2024 წელი – 31 დეკემბერი 2024 წელი.
3. **პროგრამის ბიუჯეტი:** 35 000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარი.
4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი.
5. **პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა:** პარკინსონით ან ეპილეფსიით დაავადებულ ერთ ბენეფიციარზე 200 (ორასი) ლარი, რომელიც გაიცემა ერთჯერადად.
6. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და შედეგი

დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე, პროგრამის მიზანს წარმოადგენს ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებული ბენეფიციარების ყოველდღიური მოხმარების მედიკამენტების შეძენაში მხარდაჭერა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებული პირები.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი

პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა №100 /ა ან ცნობა შ.შ.მ პირთა შესახებ;

გ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში;

დ) არასრულწლოვანის შემთხვევაში: დაბადების მოწმობა, ორივე მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი და განცხადება ერთ-ერთი მშობლის სახელით;

ე) შეზღუდულ ქმედუნარიანი პირის შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილება მეურვის დანიშნვის შესახებ.

მუხლი 5. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების წესი

1.თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2.მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი